№ 71 მარტი 30, კვირა 1886 მარტი 30 ,კვირა № 71

გაზეთი ღირს:

თთვე	მან.	კ.	თთვე	მან.	კ.
12	10	—	6	6	—
11	9	50	5	5	50
10	8	75	4	4	75
9	8	—	3	3	50
8	7	25	2	2	75
7	6	50	1	1	50

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, ახალ-ზუბუთოვის ქუჩაზედ, სახლი № 9, შავერდოვის საგაზეთოს, ცენტრალურს დ გრიქუროვის წიგნების მაღაზიებს

ფასი განცხადებისა ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპ.

1877—1886 წელიწადი საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1886 წელიწადი

კვირას, 30 მარტს
არწრუნისეულს თეატრში.
«ქართულის დრამატიულის საზოგადოების სასარგებლოდ გამართული იქნება:

სალიტერატურო საღამო

მონაწილეობას მიიღებენ: ქქ. გაბუნია, საფაროვისა, ბბ. თ. რაფ. ერისთავი, თ. აკაკი წერეთელი, პ. უმიკაშვილი, არ. ქუთათელაძე, ნიკ. ავალოვი, აბაშიძე, აწყურული, გუნია, და ქართული ხორო.

ანტრაქტებში დაუკრავს საზანდარი
დასაწყისი 8 საათზედ.

ბილეთები ისყიდება ამ თავითვე თეატრის კასსაში. (3—3)

ტფილისი, 29 მარტს

ირლანდია, რომელსაც თვითონ იქაურნი მკვიდრნი ერინს უწოდებენ და რომელიც დღეს ერთს განუყოფელს ნაწილს ინგლისისას შეადგენს, ინგლისს დასავლეთით უძევს. ინგლისისა და ირლანდიის შორის მარტო პატარა ზღვაა, რომელსაც ირლანდიის ზღვას ეძახიან. თვითონ ირლანდიელნი კელტის შთამომავლობისანი არიან. მათი ძველად-ძველი ისტორია გამოუკვლეველია. ზოგიერთი ნაშთი ძველად-ძველის ირლანდიის ყოფა-ცხოვრებისა დაშთენილია შოტლანდიის ჰომირის ოსსიანის ლექსებშია; ამასაც კი დღეს მეცნიერნი ეჭვით უყურებენ და ამბობენ, მერე ჩართულია ბევრი რამაო. ძველნი ირნი, ანუ ირლანდიელნი, ცალ-ცალკე თემებათ ყოფილან დაყოფილნი და თვითო თემს თავისი უფროსი, ანუ მამასახლისი ჰყოლია. თუ ოსსიანის ლექსებს დავუჯერებთ, ირლანდია ცოტად თუ ბევრად განათლებული ყოფილა უწინდელთა დროთა შედარებით. მაგრამ რაკი სკანდინავებმა ირლანდიაზედ გამოლაშქრება დაიწყეს, ამ გამოლაშქრებას აკლება და რბევა ქვეყნისა თან მოჰყვა და ირლანდიის კულტურა სრულად გაქრო.

წმინდა პატრიკმა, შთამომავლობით შოტლანდიელმა, მეხუთე საუკუნეში, სახელდობრ 430 წელს ქრისტიანობა შეიტანა ირლანდიაში და ამის მერმედ სამღვდელოებამ, განსაკუთრებით ბერ-მონოზნობამ ისე მოიკიდა ფეხი, რომ შემდეგი ცხოვრება ირლანდიისა თითქმის სამღვდელოების ზედ-მოქმედების ქვეშ იყო. უბედურება ირლანდიისა ერთის საოცარის ამბავიდამ დაიწყო. მეთერთმეტე საუკუნეში რომის პაპათ დაჯდა შთამომავლობით ინგლისელი ადრიანი IV. ამ დროს ინგლისში გაროლად იჯდა გენრიხ II პლანტაგენეტი. ირლანდია რომის ეპარხიათ ითვლებოდა. აიდო ადრიანემ მეორემ და 1154 წელსა ირლანდია აჩუქა გენრიხ II, თითქო პაპის საკუთრება ყოფილიყო. მძლავრმა, დაუნდობელმა და ულმობელმა გენრიხ II-ეს საჩუქარი მიიღო და წყალობის სიგელი პაპისა ხელზედ დაიხვია, რადგანაც დარწმუნებული იყო, რომ ირლანდიის დაპყრობისათვის პაპის «ბულლა» უფრო მეტად გასჭრიდა მაშინდელ დროში, ვიდრე ხმალი.

ხოლო დრომდე ირლანდიას მაინც ვერა გაუბედა-რა, რადგანაც ამ უცნაურს წყალობას პაპისას ეურჩებოდა ირლანდია და ზოგიერთმა ცდამ ამაოდ ჩაუარა. გენრიხი II მიუყრუვდა ჯერ ხანად ამ საქმეს და დროს ელოდდა. ამ ხანებში ირლანდია ხუთ საკოროლოდ იყო განაწილებული. რა თქმა უნდა, რომ ბძარვა, ღალვა და მტრობა ამ წვრილთა კოროლთა შორის დაუძინარი იქნებოდა. ამ სახით ირლანდია გენრიხ II-ის წინაშე შიგნიდამვე გატეხილს ციხეს წარმოადგენდა. იცოდა წინადვე გენრიხ II-მ, რომ შური, ამბოხი, სიხარბე, გაუმაძღრობა ამ წვრილთა, მთავართა თუ კოროლთა ირლანდიას ხელში ჩაუგდებს და ამიტომაც დიდის რჩევას დაუჯერა და მოუცადა დროს. ამ დრომაც არ დაიგვიანა.

ირლანდიაში სხვათა შორის ერთი სამთავრო, თუ საკოროლო იყო, სახელდობრ, ლეინსტერნი. ამ სამთავროს მთავარი დერმოტი გამოძიებულ იქმნა თავისის სამთავროდამ. დერმოტი ინგლისში გამოვიდა, ინგლისის ბარონები, ანუ უკეთ ვსთქვათ, ვასსალები გენრიხის II მოიშველია და არამც თუ დაიბრუნა დაკარგული ტახტი, არამედ მოსამზღვრე საკოროლოც დაიპყრო. ერთ ამ ბარონთაგანმა სტონგბოუ-მან დერმოტის ქალი შეირთო, მის მერმედ თვითონ გამთავრდა 1170 წ. და უფრო გაადიდა თვისი სამთავრო და სხვა სამთავროების ქვეყნები დაიჭირა. გენრიხ II ამ ამბავმა მიზეზი მისცა საქმეში ჩარეულიყო. მაშინდელის წესით, ვით შეიშვნევდა მძლავრი და გამბედავი გენრიხი II, რომ მისი ვასსალი ცალკე დაუმოკიდებელ, თავისუფალ მთავრად, თუ კოროლად დამჯდარიყო. მან ბძანება გასცა, რომ ბარონები და გრაფები ირლანდიაში აღარ გავიდნენ და ვინც გასულნი არიან, უკანვე ინგლისში დაბრუნდნენ და თუ არ დაბრუნდებიან, კოროლისაგან ბოძებული მამულები, «ლენად» წოდებულნი ჩამოერთმევათო. სტონგბოუ სუსტი კაცი იყო და ურჩობა ვერ გაუბედა გენრიხს II. ორში ერთი უნდა ექმნა: ან უნდა თავი დაენებებინა და ინგლისში გადმოსულიყო, ან მისგან დაპყრობილი ქვეყანა ირლანდიაში ინგლისის საკუთრებად ეღიარებინა, ესე იგი, ეცნო «ლენად»*) ინგლისის კოროლისა—ესე იგი, კოროლის საკუთრებად, ხოლო თვისდამი ბოძებულად კოროლის მიერ. რაკი გენრიხ II-მ ერთ მოზ-

---

*) «ლენი» ერთ-გვარი მიწის-მფლობელობა იყო საშუალ საუკუნოებში. «ლენი» იმისთანა მამულს ერქვა, რომელიც ბოძებული იყო მეფეთა და კოროლთაგან საშვილიშვილოდ, თითქმის საკუთრებათ იმ პირობით კი, რომ ზოგიერთი სამსახური გაეწიათ იმ მეფისათვის (სუზერენი), რომლისაგანაც ბოძებული ჰქონდათ.

ფელეტონი

ხინჩლას გალაშქრება ქისტეზე.

კავკასიონში, ხევს გაღმა,
ხევსურნი იკრიფებიან,
თოფებს ჰფერავენ, ხრმლებს ჰლესვენ,
ნეტა ვის ემუქრებიან?...
ხინჩლაის ქალი, მთელს თემსა,
გულს დარდათ შემოსწოლია,
ქისტეთში განთქმულს ჯოყოლას
მოტაცებული ჰყოლია.
ხინჩლა არ გლოვობს ქალთამზეს,
არ იცრემლება ვაჟია,
ოღონდ დუდღუნებს თავისდა,
პიტალო, როგორც კაჟია:
«გულო გაქვავდი, გასალდი,
არ აუჩვილდე მტერსაო,
არც შაუშინდე დიაცებრ,
თორემ აგადენს მტერსაო»!...
აქ შეიძახა ხმა-მაღლივ:
«მოდით ხევსურნო ჩემდაო,
შემოკრბით... ნუ თუ გონება
ჩვენ ჯერ არ გაგვიჩემდაო?...
შემოკრბით, შეიმოსენით
ახალი ტალავარია,
გამაგრდით მკლავით და გულით,
ვით ბურჯის ბალავარია;
აიღეთ ჩაჩქან-აბჯარი,
დაშნა და ფრანგი ხრმალია,
გაშალეთ დროშა, ალამი,
თქვენს თემს მოჰხადეთ ვალია!...
მხდალს ქისტს ნუ შაუშინდებით,
ის ხომ ქურდული კაცია,
ქალთამზე მალვით შეუკრავს
და ისე მოუტაცნია...
გვალე, ძმობილნო, ამისდამ
მთა გვიძევს გადასავალი,
მიუხდეთ ქისტებს გულ-და-გულ,
გზას გაგვინათებს მრავალი.»
შეიძრა ჯარი ხევსურთა,
მიდიან, იმუქრებიან,
თუ გამარჯვებამ უმტყუნა,
ერთიან ამოსწყდებიან!...

ხევსურნი სხედან ხინჩლასას,
იმის სუფრაზე მღერიან,
ქალთამზე კათხით ლუდს აწვდის,
ვაჟნი მას შემოსცქერიან,
ხინჩლა კი წეკოს ეწევა,
მისდა მიმჯდარა ბერია,
ქისტნი ჯოყოლას იგლოვენ,—
ხინჩლას მოუკლავს მტერია!...

თ. რაფ. ერისთავი.

საკვირაო სხარტულა

ორიოდე სიტყვა «პირუტყვთა დამცველ საზოგადოებაზე».—რით ისახელა კვლავ თავი ამ «საზოგადოებამ»?—ბრძოლა «საზოგადოების» წევრთა შორის.—რა დაემართა სეკრეტარს?—პასტერი და გელათის ბერები.—რა ბუზი უნდა იყოს გელათელი ბუზი? — ვენდოთ ამ ბუზს, თუ არა? ორიოდე სიტყვა უკანასკნელ კონცერტზე ქართულ თეატრში.

«გული კრულია კაცისა
«ხარბი და გაუძღომელი»,

თორემ ყველგან და ყველასაგან ცნობილი და შეუდარებლად აღიარებული ჩვენი «პირუტყვთა მცველი საზოგადოება» დიდი ხანია შესწყვეტდა თავის მოქმედებას და განისვენებდა საუკუნოდ. სახელი უკვე მოხვეჭილია, დიდება შეძენილი,— მაშ სხვა კიდევ რაღა დარჩა მას სასურველ და სანატრელი? მართალია, ეს სახელი ახირებულია, დიდება—არა განმადიდებელი, ხოლო სახელი და დიდება მაინც სახელი და დიდებაა და ესეც საკმაო უნდა იყოს «საზოგადოების» წევრთათვის. ძეგლი, რაც უნდა იყოს, მაინც ძეგლიაო, იტყვიან, როგორც «ტაძარი მიტევებული მაინც ტაძრად ითვლება». ამ დიდების და სახელის გარდა სხვა რამ საგანი არც ჰქონია არაოდეს და—ეჭვი არაა,— არც ექნება პატივცემულს საზოგადოებას. ამას მეტის მეტი მჭევრ-მეტყველობით ამტკიცებს მისი ადრინდელი და ეხლანდელი მოქმედება. საბრალო პირუტყვნი კარგს იზამენ რომ სულ დაივიწყებდნენ ამ «საზოგადოების» არსებობას და თავის-თავის დაცვას სრულიად მიანდობდნენ იმ მამა-პაპისეულს იარაღს, რომელიც მიუნიჭებია მათთვის ბუნებას. სხვა რომ არა ვსთქვათ-რა, ისინი ამ გზით განთავისუფლდებიან მაინც იმ მოვალეობისაგან, რომელსაც კისრად სდებს მათ მფარველობა «გულ-ჩვილთა» და «გულ-მოწყალეთა» ადამიანთა.

⁂

ვისაც ეს ჩემი წინადადება უმართებულოდ და უხიაკად მოეჩვენება, უმორჩილესად ვსთხოვ გადაავლოს თვალი «პატივ-ცემულ საზოგადოების» მოღვაწეობას ამ უკანასკნელ წლებში. მე დარწმუნებული ვარ, გარდა სასაცილო «პროტოკოლებისა», რომელნიც მეტად გამოსადეგ მასალათ უნდა ჩაითვალონ საოხუნჯო ჟურნალებისათვის, ის ვერაფერს ვერ გამოსძებნის «საზოგადოების» არხივში. ან რა უნდა გამოსძებნოს? პირუტყვების მფარველნი იმით არიან სახელ-განთქმულნი, რომ მუდამ ან წყალს ნაყვენ, ან ქარის წისქვილებს ებრძვიან, ან და მადლობას უცხადებენ ვისმეს და ყოველ შემთხვევაში კი იერიშით მიდიან ერთი მეორეზე. ეს უკანასკნელი ჩვეულება ისე მიუცილებელ საქმეთ ხდება მათ შორის, რომ, როგორც ამბობენ, სამერმისოდ სხდომის დროს «საზოგადოების» დარბაზში ცეცხლის მქრობი მაშინა იქნებაო გაჩერებული, რომ ამ გზით მაინც დაუნელონ ალი წევრთა მიდრეკილებას. საუბედუროდ, ეს უებარი საშუალება გვიან მოიგონეს, თორემ უკანასკნელი სხდომა «საზოგადოებისა», რაღა თქმა უნდა, უფრო მშვიდობიანი იქნებოდა და არც ისე საშიშარი წევრთათვის. ამ სხდომაზე განირჩეოდა მეტად შესანიშნავი და სასარგებლო საგანი: «რა ქაღალდზე და როგორ უნდა დავსწეროთ ის «ადრესი», რომლით ჩვენს ქებას და მადლობას ვუძღვნით ერთს პირს?» სჯა, რასაკვირველია, გათავდა იმით, რომ ქაღალდიც კარგი უნდა იყოს და «ხელიც» მშვენიერიო. ხოლო ახლა იმაზე ატყდა აყალ-მაყალი, რა არის «კარგი» და რას უნდა ეწოდოს «მშვენიერი». ბ-ნი სეკრეტარი ამტკიცებდა, რომ მისგან დაწერილი და დამზადებული საადრესო ქაღალდი ორსავე პირობას თავს ასდის: ხელიც მშვენიერი მაქვს და წერაც ძლიერ მოხერხებულად ვიციო!» სეკრეტრის აზრს ეთანხმებოდა ერთი ორი კაცი, სხვები კი იძახდნენ, რომ სეკრეტარს არც «ხელი» უვარგა და არც მოხერხება წერაშიო. წუნ-დადებულმა და, ამის გამო, ცრემლ-მორეულმა სეკრეტარმა

«თვალთა ხელი უყუ-იგლო,
«ცხელნი ცრემლნი მოიწურნა,
«ხმალ-კაპარჭნი მოიმაგრა,
«მკლავნი გაიმამაცურნა

და... ასტყდა ბრძოლის ცეცხლი!... სეკრეტრის მეტოქედ გამოჩნდა ერთი მეტად ფიცხელი და თავ-დაუზოგველი წევრი. დაიწყებდა თუ არა ვინმე ლაპარაკს, ის როგორც შუშხუნა აფეთქდებოდა,ააყენებდა ტკაცა-ტკუცს და ეტაკებოდა მოლაპარაკეს შესამუსრელად. ამ უწყალო რაინდმა განსაკუთრებით შეიძულა საბრალო სეკრეტარი. გაალებდა ეს უკანასკნელი პირს თუ არა ხმის ამოსაღებად, დაუცხრომელი წევრის სალოკი თითი მყის დიდებულად აიტუზებოდა ჰაერში და რიხიანი «არ გაძლევ ნებას» ქუხილსავით გაისმოდა დარბაზში. ბოლოს საქმემ მიაღწია იქამდის, რომ აფეთქებულმა წევრმა დააპირა სცემოდა სეკრეტარს გულ-და-გულ, ასე რომ საცოდავი პირუტყვთა მდივან-ბეგი —შიშით, რასაკვირველია,—გადიხვეწა სადღაც უგზო-უკვლოდ. ფანჯარიდამ

დიდ ნაწილში ირლანდიისაში საქმე ასე გაირიგა, მერე 1171 წ. შემოიკრიბა ჯარი და მთელი ირლანდია, რა ინგლისის პროვინციად გახადა, გაუნაწილა თავის ბარონებს და ინგლისის კანონი თავს მოახვია. ჯერ კიდევ 1495 წ. ირლანდიას თავისი საკუთარი პარლამენტი ჰქონდა. 1558 წ. ელისაბედი, გამოჩენილი ხელმწიფე ინგლისისა, ბევრს ეცადა, რომ კათოლიკეთა რჯული დაეგდებინებინა ირლანდიისათვის და პროტესტანტური გაევრცელებინა, მაგრამ ცდამ ამაოდ ჩაუარა. ამ ამბავმა არია ქვეყანა და ელისაბედმა ძალით ხელ-ახლად დაიმორჩილა. ჰენრიხ II-იდამ დაწყობილი 1649 წლამდე არა ერთხელ აღუდგა ირლანდია ინგლისს პოლიტიკურ მიზეზთა გამო, ხოლო კრომველმა 1648 წელს ასეთი თავზარი დასცა ირლანდიელებს, დაიმორჩილა და ასე უწყალოდ მოექცა, რომ დასაბამი მძულვარებისა ინგლისის მიმართ, ფესვი დაუძინებელის მტრობისა თითქმის კრომველის უღმრთო მოქმედებამ დანერგა. კრომველმა, რაკი დაამარცხა ირლანდია, თავისი სიძე აირტონი დააგდო გამგებლად ირლანდიისა. ამან კრომველის ხელ-მძღვანელობით, ბევრს ჩამოართვა მამულები, მთელი მხარეები დააცარიელა, აჭყარა ხალხი, გადაასახლა სხვაგან, მრავალი ირლანდიელი გაჰყიდა ინდოეთში.

იაკობ მეორის დროს, როცა მეორე რევოლიუცია მოხდა ინგლისში, ირლანდიელნი მიემხრნენ იაკობს, რადგანაც იაკობი სულ იმის ცდაში იყო, რომ გაეძლიერებინა კათოლიკობა (თვითონ იაკობი კათოლიკე იყო) და დაემხო პროტესტანტობა ინგლისში. ამან თითქმის მთელი მოხელეობა ირლანდიისა, ჯარის უფროსნი ირლანდიაში სულ კათოლიკეთა აღსარებისა დანიშნა და ირლანდიელებს, რადგანაც კათოლიკეთა სარწმუნოებისა იყვნენ, ეგონათ ჩვენი დრო მოვიდაო, მაგრამ ხელ-ახლად დამარცხდნენ და ამ დღიდამ ინგლისმა უფრო შეჰხუთა ირლანდია. 1760 წ. მიწათმფლობელობის ჩამორთმევისა და შეხუთვის გამო ირლანდიელებმა დიდი წინააღმდეგობა გამოიჩინეს. მემამულეთა წინააღმდეგ ატეხილი შინაური ბრძოლა ეგრედ წოდებულის «უაიტბოი»-ებისა*) იმისთანავე ხასიათისა და თვისებისა იყო, რითაც ამ ბოლოს ჟამს ეგრედ წოდებულმა «ფენიებმა» თავი იჩინეს და თავ-ზარი დასცეს მემამულეებს, ფერმერებს და სხვათა მიწის მფლობელთა ირლანდიაში. თუმცა 1772 წ. ზოგი ერთი შეღავათი მიეცა ირლანდიელებს და 1782 წ. ირლანდიის პარლამენტს სრული დაუმოკიდებლობა დაუთმო ინგლისმა, მაგრამ მაინც ირლანდიის ერმა თვისი გულითადი წადილი ინგლისის ხელიდამ თავის დახსნისა არ გაიქრო გულში. ხოლო უბედურს ხალხს ბედი როგორღაც არა სწყალობდა: ვერც საფრანგეთის შემწეობამ 1796 წ. უშველა რაიმე და ვერც 1798 წ. საშინელმა შეთქმულობამ. 1800 წ. ირლანდია ინგლისმა სრულად დაიმორჩილა და თავისთან შემოიერთა, პარლამენტიც გაუუქმა და ყველა ნიშან-წყალი თვითმართველობისა. დღეს ინგლისის აღსარება გამეფებული ირლანდიაში, თუმცა იქ ამ აღსარებისა მარტო ერთი მეოთხედია და დანარჩენი სამი მეოთხედი კათოლიკეთა აღსარებისანი არიან. დღეს ირლანდიის გამგებლად ინგლისიდამ ინიშნება მთავარ-მართებელი, ირლანდიას ინგლისის სამინისტროში ცალკე მინისტრი ჰყავს და ინგლისის საერთო ქვედა-პარლამენტში ას-ხუთის დეპუტატის ადგილი აქვს და ზედა-პალატაში 28 პერისა და 4 ეპისკოპოსისა.

ეს მოკლე პოლიტიკური ისტორია ირლანდიისა საჭიროდ დავინახეთ მოგვეთხრო ჩვენის მკითხველისათვის, ვიდრე ეკონომიურს წყობის ისტორიას ირლანდიისას შევუდგებოდით. შემდეგ ამ წყობაზედ გვექნება ლაპარაკი.

ი.

ახალი ამბავი

⁂ ვლადიკავკავიდამ გვწერენ: ამ ჟამად ვლადიკავკავის მინდვრის ოსების სოფლებში, არის გავრცელებული წითელა, ქუნთრუშა და ყვავილი. სოფელს, ოლგინსკაში დიდს ზარალს აძლევს წითელა, დღეში ოთხი-ხუთი ყმაწვილი რომ არ დამარხონ აუცილებელია; სოფ. დარკოხში უფრო ზარალს აძლევს ხალხს მოარული სენი. თუმცა სოფ. დარკოხში სდგას ფერშალი, მაგრამ ვერას შველის ავად-მყოფებს. სოფ. ხუმელაგაშიაც ძრიელ გახშირებული არის წითელა, მაგრამ ჯერხანობით დიდი ზარალი არ მიუცია სოფლისთვის. სოფ. ბათიყოყავაშიაც სჩივიან, წითელამ და ყვავილმა დიდი ზარალი მოგვცაო და პატრონი არავინა გვყავსო. სოფ. გიზელშიაც ყვავილს უჩივიან, მთლად ყმაწვილებს მუსრი გაავლოვო, არც თურმე სოფ. არდონში აყრის ხეირს ოსებს ხსენებული სენი. დიდ საცოდაობაში არიან ზემოხსენებულნი სოფლები, მაგრამ მშველელნი კი არსად ჰყავთ.

⁂ იქიდამვე გვწერენ: კაცის კვლას და ქურდობას ქიშტებისაგან თვლა არა აქვს. აი ერთი-ორი მაგალითი. 19-ს მარტს მოხდა ერთი შემთხვევა სოფ დარკოხში; სოფ. დარკოხის მასწავლებლის სალამოვის ძმისწული, 20 წ. ყმაწვილი კაცი, რომელიც მტრისთვისაც კი სასიამოვნო იყო შესახედავათ, თურმე ცოტა სოფელზედ მოშორებით ჰყარაულობდა საქონელს ფარეხში. ამ დროს ღამე შეეპარნენ ქურდები. გაიგო საბრალომ, აიღო დამბაჩა ხელში, გაალო კარები გამოსახედათ, მაგრამ ვინლა მიახედ-მოახედა, უეცრად გავარდა თოფი ქურდისა და საბრალო შეიქმნა მსხვერპლი ქიშტების თოფის ტყვიისა; 21-ს ქალაქ ვლადიკავკავიდგან ექიმი და გამომძიებელი მოვიდა გასინჯეს და მარცხენა გვერდიდგან ტყვია ამოაცალეს...

⁂ ტფილისის გუბერნატორს მიუქცევია ყურადღება, რომ ზოგიერთის ქუჩების ფარნები ამ ბოლოს დროს რიგზე არ ინთებაო, რომლის გამო მცხოვრებთ რამდენჯერმე უჩივლიათ, ამას გარდა ნავთლუხის მცხოვრებნი ჩივიან, აქ რომ საყასბოა, დიდის ხნის უსუფთაობისა და გაუწმენდობის და სხვა მიზეზების გამო ავი სუნი ტრიალებსო. გუბერნატორს უთხოვნია ქალაქის გამგეობისთვის, რომ ფიცხელი ღონის-ძიება მიიღოს დ გაასუფთაოს ეს ალაგი, თორემ-აქედგან შეიძლება სხვა-და-სხვა სენი გავრცელდესო, მით უფრო რომ ზაფხული მოდისო:

⁂ ხმოსანს ლ. ი. ისარლოვს წინადადება შეუტანია ქალაქის გამგეობაში, რომ იშუამდგომლონ და ტფილისში ყოველ-წლიური იარმუკა დაარსონ, 25 სექტემბრიდგან 5 ოქტომბრამდე, რომელზედაც შეეძლოთ მოსვლა ყველა მხრის სოფლის მებატონეთა, მრეწველთა და მოვაჭრეთა სხვა-და-სხვა ნაწარმოებით. ეს იარმუკა გააცნობს სხვა ქვეყნების ნაწარმოებთ ჩვენს ხალხსაო და რუსეთის საშუალ გუბერნიების და სამზღვარგარეთელს ვაჭრებს, უფრო დაუკავშირებს ჩვენს მოვაჭრეთაო და ეს გარემოება აქაურს ვაჭრობისა და მრეწველობის გაძლიერებას ხელს შეუწყობსო. ეს იარმუკა ტფილისს შუა-გულ სავაჭრო ქალაქად გახდის და ფულს მოიზიდავსო.

⁂ ტფილისში ეხლა ხან დაიბეჭდა მეორედ «აპშერონის ნახევარკუნძულის რუკა», ინჟენერ-მეხანიკის სტ. გულიშამბაროვის-მიერ შედგენილი. ამ რუკაში დაწვრილებით არის აღნიშნული, ნავთის წყაროები, ქარხნები და ნავთის გასაყვანი მილები. სხვათა საინტერესო ცნობათა გარდა, ამ რუკაში შემდეგი სტატისტიკური ცნობებია: პირველს წელიწადებში ნავთის ამოღება აპშერონის ნახევარკუნძულზე არამც თუ წინ მიდიოდა, არამედ ყოველ-წლობით კლებულობდა კიდეც. მაგალითებრ, 1832 წლიდგან 1840 წლამდე ნავთი ამოუღიათ 150,000 ფ.—234,900 ფუთამდე ყოველ-წლივ, 1840 წლიდგან კი 1850 წლამდე 221,032—207,028 ფუთამდე. მხოლოდ 1863 წლიდგან ნავთის ამოღება თან-და-თან მატულობს, ასე რომ 1863 წ. ნავთი ამოიღეს 340,000 ფუთი, ათის წლის უკან, 1873 წ. ამ რიცხვმა 3.951,575 ფუთამდე აიწია, 1883 წ. ნავთი 60 მილიონი ამოიღეს და წარსულს

გადავარდა, თუ მიწაში გაიარა, დღესაც არ იცის არავინ, ხოლო იქ დამსწრენი ამტკიცებენ, რომ

«განდა ქვესკნელს ჩაძრომილსა,
«ანუ ზეცად ანაფრენსა,
«ვეძებდით და ვერ ვჰპოვებდით
«კვალსა მისგან წანარბენსა-ო...«

ამ გვარად, აქამდისაც გადაუწყვეტელი დარჩა თავი-და-თავი საგანი: რა ქაღალდზე და ვის მიერ უნდა იქნეს დაწერილი ღირს შესანიშნავი ადრესი?...

⁂

მარტო «პირუტყვთა დამცველ საზოგადოებას» არ უსახელებია თავი იქითა კვირაში, ჩვენი ბერებიც არ ჩამორჩნენ მას უკან. უკანასკნელთა კიდეც გადააჭარბეს პირველს, მისთვის რომ აალაპარაკეს მთელი რუსეთის ჟურნალ-გაზეთობა. გელათის ბერების დიდება ერთის სიტყვით მოიფინა მთელ რუსეთში კიდის-კიდემდე...

— რა ჩაიდინეს ამისთანა ამ გელათის ბერებმაო? იკითხავს მკითხველი.

— რა ჩაიდინეს და გაუმკლავდნენ იმას, ვისაც მეტოქე არა ჰყავს ამ ჟამად მეცნიერებაში, — «საფრანგეთის დიდებას», პასტერს. მკითხველებმა უკვე იციან, რომ ამ გამოჩენილმა მეცნიერმა, დიდის ჯაფის და ხანგრძლივის ცდის და მეცადინეობის შემდეგ, გამოიკვლია ცოფის გესლის თვისება და კიდეც მონახა მისი უებარი წამალი. ამ ამბავმა ისეთი შთაბეჭდილება მოახდინა მთელს დედამიწაზე, რომ პასტერი რაღაც არაკებურ გმირათ გადიქცა მეცნიერთა და უმეცართა თვალში. არც გასაკვირველია ამ გვარი «გაღმერთება» უბრალო სიკვდილის შვილისა, განსაკუთრებით თუ მოვიგონებთ, რომ ამ სიკვდილის-შვილმა მოახდინა ის, რაც არ უქნია ჯერ არავის ქვეყნის დაარსებიდამ. ცოფის გესლი კი დასაბამიდამ გაუგებარ და მიუწდომელ რამეთ ითვლებოდა, რომელთაც შიშით შეჰყურებდა და სასო-წარკვეთილებით ემორჩილებოდა მრავალ-სნეულოვანი კაცობრიობა. აი ეს უცნობი სფინქსი გამოიცნო პასტერმა და ერთხელ კიდევ ძლევით-შემოსა მეცნიერების ფარ-ხმალი. ამ ძლევა-მოსილობამ მიჰგვარა საფრანგეთის მეცნიერს ავადმყოფები ქვეყნის ყოველ-კუთხიდამ, და ყოველ კუთხემ, რასაკვირველია, ლოცვა-კურთხევით მოიხსენია იმის სახელი, ვინც საშინელს გესლს სასიკვდინე ხმალი ხელიდამ გააგდებინა...

⁂

ვინ იფიქრებდა, ვიმეორებ, რომ ამ ძლევა-მოსილს გმირს შეეცილებოდნენ «თავ-მდაბალნი» ბარტყულოსანნი, რომ ჰიპოკრატის მეცნიერებას ჯიბრს გაუწევდა ქამნი და ტიბიკონი, და ეს კი სწორედ ასე მოხდა. ერთის რუსულის გაზეთის კორრესპონდენტი იწერება ქუთაისიდამ, რომ პასტერისაგან გამოჩენილი ცოფის წამალი დიდი ხანია რაც ცნობილია გელათის ბერებისაგანაო და ამ წამალმა კიდეც მოარჩინა ბევრი ავად-მყოფიო. მართალია, პასტერი სხვა ნაირად ექიმობს ავად-მყოფებს, ვინემ გელათის ბერებიო, მაგრამ ორსავე შემთხვევაში შედეგი ერთი და იგივეაო. ჩვენი ბერები თურმე ცოფის წამლად ხმარობენ ერთს რაღაც ბუზს, რომელიც ან უნდა შეჭამოს ავად-მყოფმა, ან უნდა გაახმოს, მოფშვნას და დალიოს, წყალში არეული.

თუ ეს მართალია, ქება და დიდება ჩვენს ბერებს, თუმცა მეორეს მხრით, ისიც გასაკვირველია, რას უცდიდნენ ამდენ ხანს ეს დალოცვილები, თუ ამ გვარი ადვილ-საშოვარი წამალი უძნელესის სენისა ხელთ ეპყრათ და გამოცდილი ჰქონდათ, როგორც უტყუარი საშუალება? მათ რომ თავის დროზე გამოეცხადებინათ თავისი საიდუმლო, რამდენს სულს გადაარჩენდნენ სიკვდილისაგან, რამდენს მწუხარეს შეუშრობდნენ ცრემლებს, რამდენს დედის გულს გაამრთელებდნენ სიხარულით!.. ნუ თუ ამ შემთხვევაშიაც გაიმარჯვა ძველებურმა, უგულობისაგან დაბადებულმა და უსულობით აღზრდილმა, ანდაზამ: «ჯერ თავო და თავო და მერე ცოლო და შვილოვო»?!.

რაც უნდა იყოს, ესე იგი რა ბაასი და სჯაც უნდა ასტეხოს ამ ამბავმა რუსეთის ჟურნალ-გაზეთობაში, ჩემის ფიქრით, ბოლოს მაინც იმით გათავდება საქმე, რომ ბერების ბუზი ის ბუზი გამოდგება, რომელიც ერთის ანდაზისა არ იყოს, დაბადა თურმე ვეებერთელა მთამ. ამისათვის... დავივიწყოთ სამუდამოდ ეს ბუზიც და მისი მომგონნიც და ნუ დავამყარებთ მათზე ნურავითარს იმედებს. ან და რა საყურადღებოა რაღაც გელათელი ბუზი. ბუზით რომ რჩებოდეს ცოფი, რაღა მაქნისი იქნებიან მაშინ ქვეყანაზე

«სხვა-და-სხვანი ჭირები:
ზაფრა, ხველა, სიჭლექე
და ქარები ხშირები,
გამბერველი წყალ-მანკი,
მლევი ცივებ-ცხელება
და ათასი სხვა სენი,
ტანჯვა, მტკივნეულება»!

⁂

«ტანჯვა-მტკივნეულობით» რომ არ გავათაოთ დღევანდელი ფელეტონი, ესთქვათ ორიოდე სიტყვა იმ სიამოვნებაზედაც, რომელიც წილად ხვდა იმ კვირას ქართველ საზოგადოებას. «კონცერტი», რასაკვირველია, ყოველთვის კარგი რამ არის, მაგრამ დიდ-მარხვაში ერთი-ორად უკეთესია. უკანასკნელი კონცერტი მით უფრო სასიამოვნო იყო კიდევ, რომ გაიმართა ბ-ნის აწყურელის სასარგებლოდ, რომელსაც ზოგიერთ კომიკურ როლებში სწორედ რომ ბადალი არა ჰყავს ჩვენ ძველ და ახალ აქტიორებში და რომელიც, მიუხედველად მისა, რაღაც მანქანებით, დარჩენილია «შტატ» გარედ... ის ხელოვნება, რომლითაც მან წაიკითხა რამოდენიმე სცენები სომხებისა და კინტოების ცხოვრების შესახებ, ნათლად ამტკიცებდა, თუ რა სიამოვნებასაა მოკლებული ჩვენი საზოგადოება ამ ნიჭიერის აქტიორის დავიწყებისა გამო. ურიგო არ იყო აგრეთვე ბ-ნი ნებიერიძეც, რომელმაც მოხერხებულად წაიკითხა ერთი მოკლე, მაგრამ მარილიანი სცენა რაფ. ერისთავისა. ბ-ნი ვ. აბაშიძე ამ სალამოს იმ გვარივე იყო, როგორც ყოველთვის: კარგი ალაგ-ალაგ და თავ-მომაბეზრებელი აქა-იქ. განსაკუთრებით ცუდად მოქმედობს მაყურებლებზე ეს მისი თუთიყუშური ჩვეულება—ერთისა და იგივე სიტყვის განმეორება რამოდენჯერმე... სატირიული კუპლეტები ადვოკატებზე, დოქტორებზე, ლიტერატორებზე და სხვებზე ეტყობა რომ რომელიმე «სარკმელ ქვეშ მდგომ» პოეტისაგან იყვნენ გადმოღებული რუსულიდამ,—ჰოლოკსავით ეტაკებოდნენ ყურს, თუმცა, მართალია, თარგმანში «რითმა და მუსიკა ორივე დაცულნი» იყვნენ, როგორც რიგია. ამის გარდა არ გვესმის, რა სასარგებლოა ქართველ საზოგადოებისათვის იმ გვარი მოკლე ტვინის ნაჯღაბნი ნაწარმოები, როგორიც არის მანსფელდის მონოლოგი: «ახალ-მოდური ცოლი?» ნუ თუ საჭიროა, რომ ჩვენ საზოგადოებას გული აუცრუვდეს ქალების აღზრდაზე? ნუ თუ ჩვენი ახალგაზრდა თეატრი ციტოვიჩის და მის მსგავსთა «ღეღლების» მოყვარულ მჯღაბნელთა აზრებს უნდა ავრცელებდეს ხალხში? ან და მარტო «თმაგაკრეჭილი» ქალები ჰბატონობენ თავიანთ ქმრებს თუ?—არ გვესმის...

დასასრულ ვიტყვით, რომ ბ-ნი აბაშიძე კარგი იყო ამ როლში... მისმა ჩივილმა ალაგ-ალაგ წრფელი სიცილი ასტეხა საზოგადოებაში...

ილ. ხონელი

---

*) «უაიტბოი» ქართულად «თეთრი ბალღია», ამას იმიტომ ეძახდნენ «უაიტბოი»-ებს, რომ გარედამ თეთრს პერანგებს ატარებდნენ.

წელს კი 100 მილიონს ფუთს შეადგენდა ამოღებული ნავთი. ამის დაგვარად ნავთის გავრცელებაც წინ მიდიოდა და ბაქოდან ურიცხვი ნავთი გაჰქონდათ. 1865 წ. გატანილია 100,000 ფუთი, 1875 წ.—199,041 და 1885 წელს კი—27 მილლიონი. რაც შეეხება ნავთის ორთა შუა რიცხვის ფასს წელიწადში ალაგასვე, 1860 წლიდგან 1872 წლამდე ფუთი 45 კაპ. ჰღირდა, მაგრამ შემდეგ 1873 წელს ეს ფასი ერთბაშად ფუთი 5 კაპეიკათ გახდა და 1881—1883 წ. 2 კაპ. იყიდებოდა. 1884 და 1885 წელს ფასმა ცოტათი იმატა და ფუთი 4 კაპ. იყიდებოდა.

⁂ გაზ. «Кавказъ»-ს სწერენ ყვირილიდამ, რომ შავის-ქვისთვის რკინის გზის შტოს გამყვანთ მოცილედ გამოსჩენია ერთი კერძო კამპანია, რომელიც ტვირთულობს ამ შტოს გაყვანას თავის საკუთარ ხარჯზედაო.

⁂ 28 მარტს ღამის 12 საათზედ, პოლიციის 2-რე განყოფილებაში დავიდოვის ქუჩაზედ, ნადვორნი სოვეტნიკის ქვრივის ნინო სერბინოვის სახლებში ცეცხლი გაჩენილა, რომელიც ცეცხლის მქრობელს კამანდას გაუქრვია. გამოძიება ჰსწარმოებს.

ნაკვესი

ერთი გურული ტფილისში მოდიოდა. როცა სურამის მთას გადმოვიდა და სოფელში შევიდა, დაინახა რომ ერთი კაცი მიწურიდამ ამოვიდა.

— სად იყავი, ძამიავ, შენ? ჰკითხა გურულმა.

— სად ვიყავი და სახლში.

— დედავ!.. სახლს მიწაში რა უნდოდა? ნუ ხუმრობ, თუ ღმერთი გწამს... ერთი აგი მითხარი: მამა ჩემი რასა იქს? აგი პირველია, ძამიავ, და შენს მეტი საიქიოდამ დაბრუნებული ჯერ არავინ მინახავსო.

რ. ხ.

დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

გორი. 25 მარტს. ხშირად, ძალიან ხშირად, ვართ ხოლმე მოწამენი იმ საზარელის ფაქტისა, რომ ძმა ძმასა ჰკლავს დაუნდობლად, ბიძაშვილი ბიძაშვილს, მეზობელი მეზობელს არ ინდობს, როდესაც საქმე შეეხება ხოლმე მამულის მფლობელობას, რომელსამე მიწის საკუთრებას. ეს საზარელი საქმე უფრო თავად-აზნაურთა შორის არის და იმ მამულების შესახებ, რომელთა მდგომარეობაც გამოურკვეველია; რომელთა მფლობელობაც დამყარებულია დარბევა-წართმევაზე, ანუ ძველის-ძველ და ორაზროვან განაჩენებზე. ამიტომაც მკვლელობა მამულის თაობაზე ჩვენს დროში ხშირი შეიქმნა. ხალხი იმ მდგომარეობაშია ჩაყენებული, ისეთი გარემოებანი არტყიან გარს, რომ მიწის მუშაობას ხელს უმართავენ. მიწაა დღეს მათი მკვებავი; თავად-აზნაურობა ძველებურად სხვის ხელის შემაცქერალი აღარ არის; მან ამ ჟამად თვით მიიღო მოქმედებითი მონაწილეობა მამულის შემუშავებაში—თუ შეიძლება ასე გამოითქვას. მაგრამ მას წინ გადაჰღობებია მამულ-დედულის გამოურკვეველი მდგომარეობა, როგორც ზევით მოვიხსენიეთ. აი ამ დაბრკოლებას აწყდება მემამულე, იღუპავს და აკვლავს თავს თავის მოძმეს, რომელიც საყვარელი კაცი იყო მანამდე მამულის საქმე არ გაიჩხირებოდა მათ შუა.

შარშან გორის მაზრის პატარა სოფელს მეილეთში, რომელიც შეადგენს საკუთრებას აზნაურთ ტატიშვილებისას, მოხდა მამულის გამო საზარელი მკვლელობა. ამ მკვლელობის გამო ქ. გორში ტფილისის ოლქის სასამართლოს განყოფილებას ჰქონდა სხდომა 17, 18 და 19-ს მარტსა.

აი მკვლელობა რის გამო მოხდა:

ს. მეილეთში სცხოვრობს ორი შტო ტატიშვილებისა, ერთი ერთმანეთზე ნათესაობით დაშორებული; ჩრდილოეთით მცხოვრებთ ეძახიან ზემო-ტატიშვილებს და სოფლის სამხრეთით მცხოვრებთ—ქვემო-ტატიშვილებს. პირველთ აქვთ ჩრდილოეთის მხრივ მამული, უკანასკნელთ სამხრეთით; ეს გაყოფა მომხდარა 1844-სა წელსა, რომლის მალითაც არც ერთი ამ შტოთაგანი ურთიერთის მონაწილეობას არ შეჰხებია. მაგრამ ქვემო-ტატიანთ 1883-ს წელსა დაარღვიეს ძველი განაჩენი, წაიწოდეს ზემო-ტატიაანთ მამულში ხელი; გაჩეხეს ტყე სასოფლედ და ჩააყენეს შიგ ხიზნები—ოსები. ეს გულზედ ცეცხლად მოედოთ ზემო-ტატიაანთა და აღუკრძალეს მოწინააღმდეგეთა მათი საკუთრების შემუშავება და დაჩემება. მოწინააღმდეგე მხარე არ დასცხრა. საქმემ მიიღო ერთობ საშიშარი სახე: ათას რვა-ას ოთხმოც-და-ოთხს წელში ორივე მხარე შეიარნენ სადავო მამულზე; ორივე მხარე იყო შეთოფ-იარაღებული; ამ დროს ორივე მხრივ რამდენიმე კაცი მოკვდებოდა, მაგრამ ერთმა მაღლიანმა კაცმა დააზავა აღშფოთებულნი. მაზრის უფროსმა აღუკრძალა ამ სადაო მამულის შეხება ორთავე მხარეს, ვიდრე საქმე გათავდებოდა მედიატორულის წესით. მეორე წელს, ე. ი. 1885 წ. ზემო-ტატიაანთ იმ სადავო მამულს ახლო დაასახლეს ხიზნები. ქვემო-ტატიაანი მიდიან, ამ საკუთრებასაც ეხებიან და ანგრევენ ზემო-ტატიანთაგან აშენებულს სახლებს. სადავო მამულს ეძახიან «სამგლე-ხევს», ზემო-ტატიაანთ კი ააშენეს სახლები «ღრმა ველში». იწყინეს ამისთანა დარბევა; აქ უნდა ისიც გავიხსენოთ, რომ ქვემო-ტატიაანი სულ ორ კომლად არიან, მაგრამ ნაყმევი და ხიზანი კაცები ბლომად ჰყავთ. ზემონი კი თვით რამდენიმე კომლნი არიან, ხიზანი კი ნაკლებად ჰყავთ. ზემოებს ერიდებოდათ შეტაკებისა, მაგრამ მეტი ღონე არ იყო, უნდა თავისი საკუთრება აღედგინათ. კიდეც აასრულეს; ააშენეს და დაბრუნდენ. სოფლის პირში, ქერში, მომავალ ზემოებს შეეტაკებიან ქვემო-ტატიაანი და შეიქმნება ომი. ქვემოების მხრივ მოკვდა ერთი კაცი და ორიც დაიჭრა. ზემოების მხრივ თოფით დაიჭრა მძიმედ ერთი, რომელიც დღემდე უძრავად ჰწევს, სამიც საფანტით—სუბუქად; ამ სამში ერთი ქალია.

აი ეს საქმე ირჩეოდა გორში ზემოხსენებულ რიცხვებში. ხალხი დიდ-ძალი დადიოდა ამ სამ დღეს, ასე რომ სასამართლოს დარბაზში ტევა არ იყო. ბრალდებულთა სკამზე ისხდნენ თერთმეტი ზემო-ტატიშვილი და გვერდს შეთოფ-იარაღებული სალდათები უდგათ. მეთერთმეტე, მძიმედ დაჭრილი დავით ტატიშვილი, რომელიც სოფლიდამ გაისა და ვაგლახით ჩამოეყვანათ, მსაჯულების წინ იწვა. ამაზედ იტყვიან, რომ ბატონს წინ-და-წინ მოჩივარი მართალი ეგონაო. გამოძიება ქვემო-ტატიაანთ სასარგებლოდ წავიდა, რადგანაც მარტოდ-მარტო იმათ მოწმებს, საკუთარს კაცებს, ჰკითხეს; გამოძიებაც შესრულდა მათს ჭერ-ქვეშ, ამიტომ ზემოებთაგან ათი კაცი დააპატიმრეს და მეთერთმეტე კი შინ დასტოვეს. საბრალდებულო აქტი თითქმის სულ იმაზედ იყო დამყარებული, რომ ქვემო-ტატიაანი, როგორც ცოტანი, ზემოებს, რომელნიც ბევრნი იყვნენ, ვერ დაეცემოდნენ; ისინი, ქვემოები, სანადიროდ მიდიოდნენ თოფებითაო; მაგრამ როდესაც დაინახეს მამულიდამ სიმღერით მომავალნი ზემოები და როდესაც ამ ზემოებმა ვითომ და გინება დაუწყეს, შემოიქცნენ სახლში, აიღეს აღვირები ცხენების დასაჭერად, რომლებიც ვითომ იქვე ქერის გვერდზე სძოვდნენ და განიზრახეს წასულიყვნენ ცხინვალს პრისტავთან და ეს უწესოება გამოეცხადებინათო. აი როდესაც ამ საქმისათვის მიდიოდნენ, დაეცნენ ზემოები ორს ქვემოებს და დაუწყეს ჩეხაო. მაშინ უკანასკნელთაც ხელი გამოიღეს და სანადიროდ მომზადებული თოფები მათ დაახალესო. გამამტყუნებელიც (პროკურორი) სულ ამაზე აფუძნებდა თავისს სიტყვას და ყველას გაუჩინა ციმბირი მადნებში მუშაობით, ორს გარდა, რომელთაც ვითომ იარაღი არ ჰქონიათ და მაშასადამე ვერც ვისმეს დასჭრიდნენო. არ გამოსტოვა ის უფეხო კაცი, რომელიც მის წინ იდო და ჰგმინავდა: არ ვიცი კი მადნებში რას გაუკეთებდა!

სასამართლოს წინ, გამოძიების დროს კი სულ სხვა აღმოჩნდა: ზემო-ტატიაანი მოდენილან თავიანთ მამულიდამ, სადაც მათ, ქვემოებმა, ხიზნების სახლები დაუნგრიეს და სადაც ხელ-მეორედ ააშენეს. ქვემოები ამისა გამო ბრაზზე მოვიდნენ; დაიჭირეს ორლულ-ლულიანი თოფები და ჩაუსხდნენ ქერში, რომელსაც ზემო-ტატიაანი სოფელში შემოსვლის დროს ვერ ასცდებოდნენ, ანუ ახლო მოადგებოდნენ. გინება და ლანძღვით გადაეღობებიან ქვემოები და უყვირიან: «დაჰხოცეთ ეგ ნახირიო». ზემოებიც შეუკურთხებენ. ამ დროს პავლე, ქვემო ტატიშვილი, როგორც მოწმებმა აჩვენეს, ესვრის ერთს, ზედ დააყოლებს მეორე სროლას; ორთავე სროლა ხვდება დავითს, ზემო-ტატიშვილს, რომელიც ზემოთაც მოვიხსენიეთ. სისხლის დანახვაზე გაცოფდებიან და გამოეკიდებიან; როდესაც მისწვდნენ და მხარში ჩამოჰკრეს ხანჯალი, ამ დროს დაიცლება კიდევ თოფი ორჯელ ზედი-ზედ; ანებებენ პავლეს თავს და გარბიან იქით, საიდამაც შემოისმა თოფის ხმა. აქ შეხვდებათ მათ ევგენ ქვემო-ტატიშვილი, რომელსაც თითქმის დასერავენ ხანჯლებით. ევგენს ეშველება უიარაღო ძმა. ეს ნამძინარევი სახლიდამ გამორბის, მაგრამ აღელვებული ზემო-ტატიაანი, რომელთაგანს ზოგს ძმა დაეჭრა, ზოგს დედა, აღარავის არჩევენ და ევგენის ძმასაც სჭრიან. სასამართლოშივე აღმოსჩნდა, რომ არც პავლეს და არც ევგენს ცხენები არა ჰყოლიათ; რომ ნახირი ქერის ახლო კი არ ყოფილა, არამედ სხვა მხრივ და ძალიან მოშორებითაც; რომ თოფი ტყვიითაც იყო გატენილი; რომ მათ მოწმები მოქრთამათ (ამაში თვით მოწმები სასამართლოში გამოტყდნენო); რომ წინა დღით ქვემო-ტატიშვილთაგანს ზემო-ტატიაანთ ცხენებისთვის ესროლნა თოფი და ცხენი დაეჭრა. ყველა ამას მიაქცია ბრალდებულთა დამცველმა ბ-ნმა გ. საყვარელიძემ მსაჯულების ყურადღება; ნათელი მოჰფინა მთელს საქმეს თვისის მშვიდის ლაპარაკითა, დამჯდარისა და მკაცრის ლოღიკით წარმოთქმულის სიტყვითა და უჩვენა კანონის ის მუხლი, რომელიც ამბობს: თუ თავის დაცვა გარდავა ზომასაო, მაშინ თავის დამცველნი ამა-და-ამ რიგად დაისჯებიანო. ბ-ნმა საყვარელიძემ ამ მუხლს მიაშურა თვისი ძალ-ღონე და მართლაც ერთობ ნათლად დაამტკიცა, რომ ზემო-ტატიაანთ თავი დაიცვეს, მაგრამ ზომას გარდავიდნენ; როდესაც მოწინააღმდეგე მხრითგან საშიში აღარა იყო რა, უნდა შემდგარიყვნენო.

აი მოატანა განაჩენის წაკითხვის ჟამმა; დარბაზი სავსეა ხალხით; ბრალდებულ თავები ჩაუკიდნიათ; სახე თრთის და ფერი აუშვია; გული ცემას სწყვეტს და გონება აღარ ემორჩილება; ფიქრს ვეღარ იკრებ, რომ თავი შეიმაგრო; აქედ-იქიდამ მოისმის ქვითინი ბრალდებულთა ცოლებისა, დედებისა, დებისა. გული ქალთა ჩჩვილია! მათმა გულ-ჩჩვილობამ უფრო გასტეხა გული ბრალდებულთა. აგერ კარმა შეჭრიალა და გამოვიდნენ მსაჯულნი. საშინელი სიჩუმეა!

თავ-მჯდომარე: სასამართლომ დაადგინა: ბრალდებულნი გრიგოლ, რევაზ და დავით ტატიშვილები გამართლებულ არიან. «ჰუ, კაი ნიშანია!» გაისმა ხალხში...—დანარჩენი ბრალდებულნი—ჩამოთვალა მათი სახელ-გვარი—სასამართლომ იცნო დამნაშავედ გარდამეტებულს თავის დაცვისათვის და გარდაუწყვიტა თვითეულს მათგანს ექვს-ექვსი თვე საპყრობილე.

ბრალდებულთა და მათ მახლობელთა სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა; ჩუმი ქვითინი ხმა-მაღალ ტირილად გარდაიქცა. განუზომელმა, უწვეულებრივო სიხარულმა ცრემლად დაღვარა იგინი.

უბრალო საქმემ, რომელიც, ვინ იცის, ერთ მანეთადაც არა ჰღირს, რამდენი მსხვერპლი გამოიწვია, რამდენი ტანჯვა—მწუხარება, რამდენი ხარჯი!! და ვინ იცის კიდევ მშვიდობით გაივლის!? მარტო მამულის გამიჯვნა თუ მოუღებს ბოლოს ამ დაუსრულებელს სისხლის ღვრასა.

დამაკვირდი!

გულ-წრფელობა დედაა სიმართლისა და ნიშანი პატიოსნის კაცისა.

(დიდრო)

⁂

უძლური კაცი გულ-წრფელი არ იქნება.

(ლა როშფუკო)

⁂

ჭკუა-მოკლე კაცის თვისება ის არის, რომ განადიდოს, რაც დიდი არ არის და დაამციროს, რაც დიდია.

(დუბაი)

⁂

მიჯნურობამან სიკეკლუცე და სიდუხჭირე არ იცის, მით რომელ ცნობა მიჯნურობასა ბრმობით უყვავის.

(სარგის თმოგველი)

⁂

ცოლი გინდა შესართავად,
უკეთესი ვით მოირთო:
ასეთს რასმეს შეეცადე,
ქალ-ბატონი არ შეირთო.

(მეფე ვახტანგ VI)

⁂

მტირალთან გლოვა დაგვიდვეს,
მხიარულთანა შვებანი,
ნუ აღვიტაცებს დიდება,
ნუცა პირის პირ ქებანი

(არჩილ მეფე)

⁂

რადგან გულით [illegible] კდომა,
სჯობს გულს უსრულო არ თვალთა ნდომა...
ნუ ზდევ თვალთ ნდომასა,
გულთა წასვლომასა,—
გული სჯობს თვალთა.

(დავით გურამიშვილი)

ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდამ)

რას უნდა მოველოდეთ!.. ჯერ ბალკანის ნახევარ-კუნძულზე აღელვება არ დამცხრალა, თავის დონეზე არ დამდგარა და აი მეორემ, უფრო საზარელმა და დასაფიქრებელმა არეულობამ თავი წამოჰყო. ეს გახლავთ ბელგიის მუშა-ხალხის არეულობა... ჟურნალ-გაზეთობა, ცხადია, უყურადღებოდ ვერ დასტოვებდა ამ გვარ მოვლენას. ყველა თავისებურად სჯის, ყველა თავისებურად ჰხსნის ამ მოვლენის მიზეზებს. გაზეთ «Московскія Вѣдомости»-ებსაც თავისებურად მოურთავს სტვირი და ყველასაგან ათასჯერ გაგონილ, დაღეჭილ, დახავსებულ ქადაგებას გაიძახის: «ცრუ-ლიბერალობა», «პარლამენტარიზმი», «გახრწნილი ცივილიზაცია დასავლეთისა»,—აი თავ-და-თავი მიზეზი ამ სამწუხარო მოვლენისაო.

ბელგიის რევოლიუციონური მოძრაობა, ამბობს გაზეთი, პირ-და-პირი შედეგია იმ დასავლეთის ცივილიზაციისა, რომელსაც ჩვენ, აღმოსავლეთის ერებს, მისაბაძველ მაგალითად გვიჩვენებენ. ეს მოძრაობა ფართო გზას აძლევს ყოველ გულის-თქმას და გულის-ვნებას, და ვერც ცივილიზაციას, ვერც წესიერებას ვერ შეიფერებს. მეორეს მხრივ, ეს მოძრაობა—უკმაყოფილებაა, რომელსაც თვითონ ცხოვრება აცხადებს იმ ცრუ-სწავლის წინააღმდეგ, რომელზედაც აწინდელი სახელ-მწიფოებრივი წყობილებაა დამყარებული; უკმაყოფილებაა იმ უმთავრობისა და უთავობისა, რომელსაც, რაღაცა ცრუ-პროგრესის თვალით, აღიარებენ აწინდელი სახელმწიფოები; უკმაყოფილებაა იმ სისტემატიურად მთავრობის გაუქმებისა, რომელსაც ასე ეტრფიან ჩვენი ლიბერალები. მთავრობა აუცილებელი, შეურყეველი საფუძველია, რომელიც მუდმივ ყოფილა და უნდა დარჩეს. იქ, სადაც მთავრობა თავის თავზე ხელს იღებს, უთუოთ სხვა მთავრობა იბადება, რომელიც პირველის ალაგს იჭერს. უდიდეს მთავრობის სიბრძნეს, ერთის მხრივ, და თავისუფალ წინ-მსვლელობას, მეორეს მხრით, აქამდე იმაში ჰხედავდნენ, რომ სახელმწიფოს ყველა უფლება წვრილის და კერძოდასების გამგეობას გარდაეცეს. და აი ეხლა ეს ცრუ, ყალბი სისტემა «კონსტიტუციისა», «პარლამენტარიზმისა» დამნაშავედ წარსდგა ხალხის შეუწყნარებელ სამსჯავროს წინაშე. მეცხრამეტე საუკუნე თავდება და მისგანვე შობილი მთავრობის სისტემაც თავის დღესა ჰლევს.

⁂

პატიოსან, ნიჭიერ ახალ-გაზდა რუსის მწერალს ბ-ნ კრუგლოვს პატარა გრძნობით სავსე შენიშვნა დაუბეჭდია გაზეთ «Новости»-ში ამ სახელით: «ქალებს გზა მიეცით!»—რკინის გზაზე ვაგონში ლაპარაკი ჩამოვარდნილა ექიმ-ქალებზე: რასაკვირველია, ბევრი მოსარჩლეც აღმოჩენილა, ბევრი მოწინააღმდეგეც, ბევრი მტერი,—ბევრი მეგობარი. ამავე ავტორს რამდენისამე დღის შემდეგ შემთხვევით ლაპარაკი ჰქონია ერთ

გლეხთან. სხვათა შორის ექიმებზედაც სიტყვა ჩამოვარდნილა.

— ეხლა ამ მხრივ ბედნიერნი ვართო, უთქვამს გლეხსა... საქმეში ქალი ურევია...

— ექიმია?

— არა, ფერშალია... ექიმი მიკალაი პეტროვიჩი იყო... ის ცხარე, ცეცხლი კაცი იყო... ორს სიტყვას მეტს ვერ ეტყოდი—მაშინვე გაბრაზდებოდა... სულელო, ბრიყვო—დაიყვირებდა ხოლმე... მე მოვალე არა ვარ ასჯერ ერთი და იგივე გაგიმეორო. სახლში თუ მოიწვევდი, ერთ ვაი-ვაგლახს, დავი-დარაბას, ღრიალს ასტეხდა, აბა, რაო, რას მაძლევთო? გროშებსაო?..

— ქალი?

— რას ბძანებთ, ბატონო, როგორ იქნება!... ეს მოწყალე, გულ-შემატკივარია... ფულს არ ხარბობს... ყველას დაწყნარებით, მშვიდად, გულ-წრფელად გამოგკითხავს. არც ყვირილი, არც ლანძღვა და გინება... ერთხელ კი არა, ხუთჯერაც რომ გამოჰკითხო, ხმას არ ამოიღებს. იმისგან თავის დღეში ჯავრობა არ გაგვიგია... რა ბევრი გავაგრძელო: აი ჩემი ჯალაბი ავად გახდა... «ფერშალი-ქალი» ორი დღე და ღამე გვერდიდამ არ მოჰშორებია... ჩვენ რა გვესმის, ბრიყვნი, გონება-დახშულნი ვართ... და აი არ მოგვშორდა, წამლები არ გადაჰრიოთო...

— მაშ, თქვენის ფიქრით, ფერშალი-ქალი სჯობნებია ფერშალ-კაცსა, ჰა?!

— რას ბრძანებთ! განა შედარება კი შეიძლება... მეტადრე ჩვენის დედაკაცებისთვის და ქალებისთვის... ქალი, რასაკვირველია, უფრო ეხერხებათ... კაცისა ცოტა ჰრცხვენიანთ...

— თქვენ?... კაცებსაც გეხერხებათ ქალის ექიმობა?

— რასაკვირველია, ისე ვერა... მაგრამ ეგ რაღაც ღვთისნიერი ქალია, კაცს არ ეთაკილება მაგასთან მისვლა, ისეთის ალერსით, ხერხით იქცევა... ჩვენ სულ იმის მლოცავები ვართ,—ღმერთმა დღეგრძელობა მისცეს...

ამის შემდეგ პატივცემული მწერალი შემდეგის გრძნობით სავსე და გულ-წრფელის სიტყვებით მიჰმართავს საქვეყნოდ მოღვაწე ქალებს:

> პატიოსანნო, თავ-მდაბალნო მოღვაწე-ქალნო! ღმერთმა მოგიმართოთ ხელი და მხნეობა მოგცეთ! ნუ გადუხვევთ თქვენგან ამორჩეულ პატიოსან გზას, ყურს ნუ ათხოვებთ ბრიყვთა, უმეცართა ლანძღვა-გინებას და კიცხვას, ნუ შეუშინდებით იმ ჭუჭყს, რომელიც ჰსურთ მოგცხონ თქვენ! ცხოვრება თვითონ გიმართავთ ხელსა, ყველა პატიოსანს კაცს თქვენი მხარი უჭირავს, თქვენი სამაგალითო შრომაა—თქვენი ჯილდო! დეე, თქვენმა მტრებმა გლანძღონ, გაგინონ,—ამათი გესლი და ჩირქი თქვენ არ მოგეცხობათ; თუ მტრები ასობით არიან, მეგობრები ათასობით გყავთ, და ესენი მუდმივ ლოცვა-კურთხევას გითვლიან!... ეხლა სხვა დრო დადგა... ქალი არც სიყვარულს და არც ოჯახობას უარს არ ჰყოფს, მხოლოდ ქალსა აღარ ჰსურს კაცის სათამაშოდ, მის პირუტყულ გულის-წადილის დასაკმაყოფილებელ ნივთათ ითვლებოდეს....
>
> გზა მიეცით ქალებს!

ზოგი ჩვენ «გენიოსებს» და «დევ-გმირებსა» ჰკითხეთ! როგორ თუ გზა მიეცეთ ქალებსაო! ისეთს გზას მივცემთო, რომ თავისა და ბედისა ვეღარა გაიგონ-რაო!.. საქვეყნოდ მუშაობა რა ქალის საქმეაო: ქალი უნდა კერას მიეკრას, ნაცარი ქექოს და იჭორიკანაოსო,— აი იმისი პირველი მოვალეობაო... მაშ გეროსტრატი რის გეროსტრატია, თუ თავისებურ სისულელეს არ გამოიჩენს... ვინც სახელს სახელოვანის საქმით ვერ იშოვის, სხვა რა ჰქმნას, თუ სახელოვანი სიბრიყვე არ ჩაიდინოს.

⁂

სარატოვის ოლქის სასამართლოში ერთს ვიღაცა უგზო-უკვლოთ მატანტალა, უბინაო ბრალდებულის საქმის გარჩევის დროს შემდეგი ახირებული ლაპარაკი ჩამოვარდნილა თავს-მჯდომარის და დამნაშავის შორის:

თავს-მჯდომარე: ბრალდებულო! თქვენი სამშობლო სად არის?

ბრალდებული: ეგ მეც ისე ვიცი, ბატონო, როგორც თქვენ.

თავს-მჯდომარე: აქამდინ სად სცხოვრობდით?

ბრალდებული: ბატონო, სად არ ვყოფილვარ! იქაც კი ვიყავი, სადაც ყველა ავაზაკს მუქთად ადგილი ეძლევა.

თავს-მჯდომარე: სადა ხართ მიწერილი?

ბრალდებული: ეჰ, ბატონო! ისიც საკმაოა, რომ მე ვიცი,—თქვენ რაღად გინდათ, რომ იცოდეთ.

თავს-მჯდომარე: რა ხელობა გაქვთ?

ბრალდებული: მე, ბატონო, ყველას ხელს ვკიდებ, რაშიაც კი სარგებლობას დავინახავ.

უცხოეთი

სერბია. მოვიდა თუ არა დეპეშა 21 მარტს, რომ სამინისტრო სერბიისა გამოიცვალა და გარაშანინის მაგიერ რისტიჩი იქნება მოთავეო, ზოგიერთმა გაზეთებმა, სიხარული დაიწყეს. ეხლა კი უშველა სერბიას, თავი დააღწია ავსტრო-უნგრიას და ახლა სულ სხვა გვარს პოლიტიკას დაადგებაო. ავსტრიამ დაჰლუპა სერბიაო, ყოველივე ძალა გამოაცალა და დასასრულ სამარცხვინო საქმე დაჰმართა ბოლგარიასთანაო.

ავსტრიის გაზეთებმა გოდება მორთეს, რისტიჩის დანიშვნა პირველ-მინისტრად ეგ იმის ნიშანიაო: რომ სერბია ახლა რუსეთს მიემხრობაო. ჩვენი ელჩი კეკენგიულერი უნდა უკან დავაბრუნოთ, რადგან მან ვერ მოახერხა და წინ ვერ აღუდგა ამ გვარად საქმის დატრიალებასაო. მაგრამ მაინც იმედს ნუ დავკარგავთო, ჩვენის ხელიდამ სერბია ვერსად წავა, რადგანაც გეოგრაფიული მდებარეობა დაუშლისო და სააღებ-მიცემო ურთი-ერთობაც ჩვენ შორის ისეთია, რომ ძნელად თუ ჩვენის ხელიდამ წავა სადმეო.

24 მარტს, როგორც მკითხველს უნდა ახსოვდეს სხვა დეპეშა მოვიდა და გვაცნობა, რომ რისტიჩმა უცებ უარი სთქვა და სამინისტროს შედგენას აღარ აპირობსო. კოროლმა მილანმა კვლავ გარაშანინი მოიწვია, სამინისტრო შეადგინეო. რას იტყვიან გაზეთები, ახლა გარაშანინს რომ დაინახავენ სერბიის სამინისტროს მოთავედ. ამ ორს დღეში მოსული გაზეთები გვიამბობენ, ამ ორს დღეშივე გავიგებთ, რას იტყვიან ვენაში ამის გამო.

ბოლგარია. ზოგიერთს გაზეთებს რომ დაუჯეროთ კაცმა, ეხლა ალექსანდრე მთავრისთანა გაჭირებულ მდგომარეობაში არავინ არ იქნება. აქაო და იმის წინააღმდეგობას ყურადღება არ მიაქციეს დიდმა სახელმწიფოებმა და კონფერენციამ დაამტკიცა ისეთი მორიგება, რომელიც ალექსანდრე მთავარს არ უნდოდა, მოჰყოლიან და ვინ იცის რას არ ამბობენ, რას არ აკადრებენ იმ კაცს, რომლის დანაშაულობაც მხოლოდ ის თუ არის, რომ თავის ერის გაძლიერებისა და სიკეთისთვის სცდილობს. «კაი რომ ჩვენ არა გვაქვს ყვითელი ან მწვანე წიგნიო *), ამბობს ერთი გაზეთი, თორემ ეხლა ცუდს საქმეს დაუმართებდით ალექსანდრე მთავარსაო. გავხსნიდით ამ წიგნს და იქიდამ აღმოჩნდებოდა, ვინ იყო ბატენბერგი და რაები ჩაიდინა იმან წინადაო, როგორ ძალათი მაიჩვევს ბოლგარებს ეს უცხო ტომის კაციო, რა მანქანებით იქცეოდა რუსეთის მიმართო. ყველა ეს საჭიროა ეხლა გამოცხადდეს, საყოველთაოდ, რომ ბატენბერგი სამართლიანად გადაყენებულ იქმნას ტახტიდამაო, რომელიც უღირსად უპყრიაო».

საბერძნეთი. საბერძნეთისა სწორედ არა გაიგება-რა. დღეს ყველა იძახის, ომი, ომი უნდა იყოსო და ხვალ კი იძახიან, ომის დრო კიდევ წავიდა და დელიანისი ამის გამო პასუხის გებაშია მისაცემიო. სამინისტროს წინააღმდეგი დასი და მისი მოთავე ტრიკუპისი ამას წინად იმასაც დანაშაულობათ უთვლიდა დელიანისს, რომ ფილიპოპოლის უსისხლო რევოლიუციის დროს კარგი დრო დაჰკარგეო. უნდა ამდგარიყავ და ჯარით დაგეჭირა ეპირი და თესალიაო. ტრიკუპისის დღევანდელი წინააღმდეგობა, ამბობენ, იმის გამო არის, რომ რისტიჩი დაინიშნა სერბიაში სამინისტროს მოთავედაო. და რაკი ტრიკუპისი გაიგებს, რომ კვალად გარაშანინი იქმნა მოწოდებული სამინისტროს მოთავედაო, ტრიკუპისიც თავს დაანებებს წინააღმდეგობას, რადგან გარაშანინის პირველ-მინისტრობის დროს, სერბია გულ-ხელ-დაკრეფილი არ დაჯდება, თუ ვინიცობაა საბერძნეთს ოსმალეთთან ომი არ ასცდაო.

საბერძნეთს მისვლია ამბავი, რომ რუსეთი წინააღმდეგობას არ გაგიწევსო და ამის გამო მის სიხარულს თურმე საზღვარი არა აქვს. მხედართ-უფროსთ უთქვამთ, რომ ჯარი სრულიად მზად არის ოსმალეთთან საომრადაო. პირველ მინისტრს ეს ამბავი კოროლისთვის მოუხსენებია. კოროლს ისე გაჰხარებია, რომ ბძანება ბძანებაზედ თურმე გამოდის საომრად მზადებისათვის. პირველ რაზმებად საბერძნეთის საზღვარზე სდგას თოფ-ქვეშ 50,000 კაცით. ცეცხლის გემებს საომარი იარაღი მიაქვთ საზღვარზეო. ნაპირები შორს-მცემელი ზარბაზნებით არის აღჭურვილი. წყლები, ყოველ-შემთხვევისათვის, სავსეა ტორპედებითა და ნაღმიანის იარაღებითაო. ალბანელნი და მაკედონელნი მხოლოდ დროს უცდიან, რომ აჯანყდნენო.

დეპეშა

29 მარტს

ლონდონი. საზოგადოებათა პალატის კრებაზე გლადსტონმა წარმოსთქვა სიტყვა. სიტყვამ 3½ საათი გასტანა. ამ სიტყვით გლადსტონმა განმარტა თავისი პროექტი, როგორც რეფორმების შესახებ ირლანდიაში, ისე პარლამენტის დაარსებისა და მის მოქმედების გამო. ჩემის აზრით, ირლანდიას თავისი წარმომადგენელნი არ უნდა ჰყვანდნენ ბრიტანიის პარლამენტშიო, თუ ეხლანდელს პროექტს არ შესცვლიანო. ჩემის განზრახვით, ირლანდიის პარლამენტი ორ-რიგოვანი უნდა იყოსო: პირველ რიგს დიდებულნი და 75 წარმომადგენელი უნდა შეადგენდესო, ხოლო მეორე რიგს 103 წარმომადგენელიო. პირველ რიგისანი აირჩევიან ახალის საარჩევანო წესით, მეორისანი — ეხლანდელის წესითა. პირველმაცა და მეორე რიგმაც ერთად უნდა ითათბირონ, ხოლო კენჭი შეუძლიანთ ცალკ-ცალკე ჩამოატარონო. ირლანდიის პარლამენტს ნება არ ექმნება სამეფო უფლებასა და ხელმწიფებას შეეხოს და არც იმ საქმეებში გაერიოს, რომელიც მხედრობისა, ფლოტისა, კოლონიებისა და გარეშე საქმეთა პოლიტიკის შესახები იქმნებაო. აგრეთვე ნება არ ექმნება საბაჟოთა და სააქციზო გარდასახადთა განხილვასა და სჯაში შევიდესო, ალებ-მიცემობისა, ნაოსნობისა, ადგილის საქმისა და ქაღალდის ფულის გამოცემის საგნებიც არ დაექვემდებარებაო. ირლანდიის პარლამენტს ნება არ ექმნება სახელმწიფო სარწმუნოებად აღიაროს ესა, ანუ ის სარწმუნოებაო და გადასდოს ფული ამ სარწმუნოების საჭიროებათათვისაო. საიმპერიო საჭიროებათათვის ირლანდიის ხარჯს მოაკლდება ერთი მეხუთმეტედიო. სამხედრო ხარჯის გასასტუმრებლად ირლანდია არაფერს არ გაიღებსო. პარნელმა სთქვა, რომ ეს კანონ-პროექტი საზოგადოდ შესაწყნარიაო, მაგრამ თან დაატანა, რომ კანონ-პროექტს ზოგიერთი ცვლილება ეჭირვებაო.

პეტერბურგი. პეტერბურგის სამკომ გადასწყვიტა, რომ ყოველ-წლივ 15 ათასი მანათი ეძლიოს უმაღლესს საქალებო სასწავლებელს, ვიდრე საჭირო იქმნებაო, მიეცეს პოტიომკინის სახლი, რომელიც ალექსანდრეს სამკურნალოსთან არისო და ნება ჰქონდეთ მოწაფე ქალებს ყველა სამკურნალოებში ისწავლონ თავიანთი საქმე მხოლოდ იმ პირობითკი, რომ უსასყიდლოდ უვლიდნენ ავად-მყოფებსაო.

იალტა. 27 მარტს დანიის კოროლის დაბადების დღის გამო, ლივადიაში ხელმწიფის სადილზე დაუკრეს დანიის საერო საგალობელიო.

იმავე დღეს ლივადიაში მოვიდა გარეშე-საქმეთა მინისტრი და წარსდგა ხელმწიფე იმპერატორისა და ხელმწიფე იმპერატრიცას წინაშე.

ლონდონი. კონსერვატებურ და ზოგიერთი ლიბერალებურ გაზეთებს არ მოსწონთ ირლანდიის პროექტი. ეგ პროექტი ფრიად მავნებელი და წინ დაუხედავი გვგონიაო. საზოგადოებათა პალატაში ჩემბერლენმა გადაწყვეტითა სთქვა, რომ მე სრულიად წინააღმდეგი ვარ პროექტისაო, რადგანაც არა ვითარს საბუთს არ გვაძლევს, რომ სახელმწიფოს ერთიანობა დაცული იქმნებაო; რომ ბრიტანიის პარლამენტი იუფლებს ირლანდიისაზეო; წინააღმდეგი ვარ, რომ ინგლისმა თავად იტვირთოს და ფული ასესხოს ირლანდიის მამულების გამოსასყიდავათაო. მე ვამჯობინებ, რომ დაარსებულიყო ფედერაებური ურთიერთობა ინგლისსა და ირლანდიის შორისაო.

ლანკასტერის საჰერცოგოს კანცლერი სამსახურიდამ გამოვიდა ირლანდიის პროექტის გამოო.

გარეშე საქმეთა მინისტრის ამხანაგმა მოახსენა საზოგადოებათა პალატას, რომ მმართებლობამ ჯერ არაფერი არ იცის, მიიღო თუ არა ბოლგარიის მთავარმა სტამბოლის განაჩენიო.

საკალენდარო ცნობანი

ქრისტეს აქედ ჩყპვ (1886) წელიწადია.

ქვეყნის შექმნიდამ **7394**.

ძველი ინდიქტიონი მე-14.

ამისი ქორონიკონი — უოჱ=478 წელია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.

ახალი ინდიქტიონი მე-4.

ამისი ქორონიკონი მბ=42 წელიწადია დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.

1886 წლის ზედ-ნადები—3,

ყველიერი მოდის 16 ფებერვალს, დიდ-მარხვა — 23 ფებერვალს, აღდგომა—13 აპრილს, ამაღლება — 22 მაისს, სულის-წმიდის მოსვლა—1 ივნისს, 9 ივნისიდამ იწყობა პეტრე-პავლობის მარხვა. ეს მარხვა 1886 წელს კვირით და 6 დღით არის.

მარტი 31 დღით არის

30 დღე კვირა. ღირსისა იოანესი, ზოსიმე ეპისკ. კათ. *mater dolorosa*. პირველი ხარისხი მთვარისა საღამოს 11 საათ. 44 წ. იწყობა ტფილისში. ჭეშმარიტი შუა-დღე 12—1—2. ტფილისში მზე ამოდის 5—26; ჩადის 6—37. მთვარე ამოდის 10—52; ჩადის 12—8 ნღ.

31 დღე ორშაბათი. წმ. მოწ. იპატი ეპისკ. ღირსისა აპოლონისა, წმ. იონასი. კათ. ბალბინისა, კორნელისა და ვენიამინისა. ჭეშმარიტი შუა-დღე 12—0—46. ტფილისში მზე ამოდის 5—25; ჩადის 6—38. მთვარე ამოდის 12—1; ჩადის 1—1 ნღ.

მაზანდა.

1 მარტიდამ 1-ლ აპრილამდე.

1 გირვ.	5 კ.
ადგილობრი პური 1-ლის ხარისხ. სა.	2½ »
» » 2 »	2 »
ჯვარის მამის პური თონისა და ლავაში 1-ლის ხარისხისა	4½ »
მე-2 ხარისხისა	3
მე-3 —	2½ »
ძროხის ხორცი 1-ლის ხარისხისა	8 »
2 —	7 »
ჩალაღაჯი და ცალკე ამოჭრილი სუკი	14 »
ცხვრის ხორცი	9 »

ტფილისსა და სურამ შუა.

ტფილისიდამ გადის — 3 ს. და 19 წ. დ.

სურამიდამ ტფ. შემოდის 8 ს. და 24 ნ. წ. დ.

მიმოსვლა ფოსტის ეკიპაჟთა:

ტფილისსა და კავკავ შუა.

პირდა-პირ მსვლელნი ღამით დაუდგომლად.

ტფილისიდამ გადის — 4 ს. ნაშუადღევს.

კავკავში შედის — — 5 ს. 15 წ.

კავკავიდამ გამოდის — 4 ს. 7 წ.

ტფილისში მოდის — 5 ს. 6 წ. 6—31-

ღამე დგომით:

ტფილისიდამ გადის 8 ს. დილით.

კავკავში შედის — 5 ს. 11; 6—43 საღ.

კავკავიდამ გამოდის 9 ს დილით.

ტფილისში მომოდის 4 ს. 44; 5—25 საღ.

---

*) თითქმის ყოველს სახელმწიფოს ევროპისას ერთის არჩეულის ფერის წიგნი აქვს, რომელშიაც შეკრულია ყოველივე მიწერ-მოწერა საპოლიტიკო საქმეების შესახები: ზოგს სახელმწიფოს ყვითელის ფერის წიგნი აქვს, ზოგს მწვანესი, ზოგს ლურჯისა და ფერის მიხედვით იწოდებიან: ყვითელ, მწვანე და სხვა წიგნებად.

Дозволено цензурою Тифлисъ 29 марта, 1886 г. ქ. ხელაძის სტამბა თავის საკუთ. სახლებში. რედაქტორი და გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.